ნელ ტემპში, აუჩქარებლად...

მინსკი. ”დინამოს” სტადიონი. 3 აგვისტო. 50 125 მაყურებელი

”დინამო” (მინსკი) – ”დინამო” (თბილისი) 2:0 (2:0)

მინსკი: ვერგეენკო, ბოროვსკი, კურნენინი, ზიგმანტოვიჩი, ტრუხანი,

«Динамо» (Минск) — «Динамо» (Тбилиси). 2:0 (2:0). Минск. Стадион «Динамо». 3 августа. Ясно 24 градуса. 50 125 зрителей.

Судьи И. Вихров, В. Гринберг (оба — Киев), В. Баскаков (Москва).

«Динамо» (Минск): Вергеенко, Боровский, Курненин, Зигмантович, Трухан, Прокопенко (Белов, 88), Гоцманов, Пудышев, Алейников, Гуринович (Шишкин. 88), Кондратьев.

«Динамо» (Тбилиси); Имнадзе, Хизанишвили. Чивадзе. Хинчагашвили, Муджири, Дараселия, Сванадзе, Тавадзе (Месхи. 46), Цаава, Шенгелия, Сулаквелидзе.

Голы. Алейников (5б, 41).

Дублеры — 0:2. Голы: Гуцаев, Месхи.

პირველი სვეტი არ იკითხება!!!

დაიწყო მატჩი და მაშინვე მიიპყრო ყურადღება იმან, რომ თბილისელები თამაშობდნენ ხაზგასმით, მეტისმეტად ნელ ტემპში, აუჩქარებლად. მცველებიც კი სისტემატურად აჩერებდნენ ბურთს, უსარგებლოდ აწვდიდნენ ერთმანეთს, არ ერიდებოდნენ უკან, მეკარისთვის გადაცემასაც. იშვიათად, რომ ვინმეს შეესრულებინა მწვავე გადაცემა წინა ხაზზე, სახიფათო პოზიციაში გაეყვანა რომელიმე ფორვარდი.

მრავალჯერ თქმულა და დაწერილა, რომ, როცა თბილისელები ბრძოლის დროს არ მიმართავენ თავიანთ ერთ-ერთ უმთავრეს და ყველაზე ეფექტურ იარაღს - სისწრაფეს, მათ თამაში არ გამოსდით. ასე იყო ახლაც. იგრძნეს რა მეტოქის პასიურობა, მინსკელებმა თანდათან მოუმატეს ტემპს, მეთოდურად მიაღწიეს ტერიტორიულ უპირატესობას და სტუმრების კართან რამდენჯერმე აღმოჩნდნენ კარგ პოზიციაში კონდრატიევი, გურინოვიჩი, პროკოპენკო. თბილისელთა საპასუხო იერიშები მხოლოდ ეპიზოდური იყო, აქა-იქ თუ გამოჩნდებოდნენ მეტოქის საჯარიმო მოედანზე შენგელია და ცავა.

ტაიმის დასასრული მინსკელთა სრული უპირატესობით მიმდინარეობდა და სწორედ ამ პერიოდში შეძლო გუნდმა იმ 2 გოლის გატანა, რომლებმაც მათ მოუტანა ესოდენ საჭირო გამარჯვება. 36-ე წუთზე იმნაძემ ვერ შეძლო აეღო პროკოპენკოს დარტყმა - ბურთი მას გაუვარდა და ალეინიკოვმა ახლო მანძილიდან გახსნა ანგარიში. 41-ე წუთზე თბილისელთა საჯარიმო მოედანზე შექმნილ არეულობაში ზიგმანტოვიჩის დარტყმა მოიგერია ერთ-ერთმა მცველმა, მას მიუსწრო ალეინიკოვმა და მეორე ბურთი გაიტანა.

მხოლოდ შესვენების შემდეგ სცადეს თბილისელებმა ეთამაშათ მაღალ ტემპში. რამდენიმე სწრაფი გარღვევა შემდგომი მიწოდებით კარის წინ შეასრულა მესხმა, ამ პერიოდში მასპინძლები უმთავრესად დაცვაზე ფიქრობდნენ, მაგრამ გავიდა 20-25 წუთი. რამდენიმე საიერიშო კომბინაციისას იზოლირებული აღმოჩნდა მესხი - მისი პარტნიორები ისევ ნაკლებ აგრესიულობას იჩენდნენ, ხოლო შორეული დარტყმები ან სცდებოდა მიზანს, ან მეკარე ვერგეენკოს უვარდებოდა ხელთ.

ამგვარად, თბილისის ”დინამომ” აღნიშნული მატჩი ჩემპიონატის ლიდერთან ვერ წარმართა იმ საბრძოლო განწყობით, იმ მონდომებითა და ძალით, როგორსაც მოველოდით, აშკარა პასიურობის მიზეზით საშუალება მისცა მოპირდაპირე გუნდს მთელი ძალით ეთამაშა. ამიტომ ჩემპიონატის მეტად საპასუხისმგებლო ეტაპზე დასანანი მარცხი განვიცადეთ.

”ლელო”, 5 აგვისტო, 1982 წ.